

# ჰოდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ივნისი



Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულების პროექტის „ევროპავშორ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“ ფრაგმენტში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეცნის საელჩოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილ მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატვდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეცნის საელჩოს პოზიციას.

## ქვეყნი:

მაია მიქაშავიძე\*

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელით

## რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

## თარგმანი:

ანა გეგეჭკორი



წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პრიორიტეტს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ივნისამდე

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიღების პროექტის ფარგლებში „ევროპავშორ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტშისა და კომენტარების აუთორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მოთლიდ მას ეკუთხნის და არ გამოხატავს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ მისაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ მისაღის შემარსხება პასუხს არ აფეშს.

\* მაია მიქაშავიძე, მეცნიერების დოქტორი, მას.კომუნიკაციისა და პროფესიული განვითარების მკვლევარია. ამჟამად ის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა პროფესორი და მართვის აკედემიის ტრენერია. მისი ძირითადი ინტერესია პოლიტ. კომუნიკაცია ძირითადი ფონდისთვის უურნალისტიკასა და მასმედიაზე.

## ეთნიკური უმცირესობები საქართველოში ინფორმაციაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. ამის მიზეზი ეთნიკური უმცირესობების მედიის სისუსტე და ძირითად ქართულ მედიასაშუალებებში უმცირესობათა შესახებ მასალების ნაკლებობაა. სხვა ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქებმა სახელმწიფო ენა ნაკლებად იციან და, შესაბამისად, არ არიან ქართული მედიის მომხმარებლები. ეთნიკური უმცირესობების ენებზე არსებული რამდენიმე მედიასაშუალება კი ვერც ადგილობრივი თემების მოთხოვნას აკმაყოფილებს ინფორმაციაზე და ვერც უმცირესობების პრობლემების მიტანას ახერხებს უმრავლესობის ყურადღეს. ეს დანაკლისი რომ შეავსონ, ეთნიკური უმცირესობები უცხოურ მედიას<sup>1</sup> იყენებენ და პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ადვილი სამიზნები ხდებიან.

## მოკლე მიმოხილვა

ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში ინფორმაციაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი. ამის მიზეზი ეთნიკური უმცირესობების მედიის სისუსტე და ძირითად ქართულ მედიასაშუალებებში უმცირესობათა შესახებ მასალების ნაკლებობაა. სხვა ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქებმა სახელმწიფო ენა ნაკლებად იციან და, შესაბამისად, არ არიან ქართული მედიის მომხმარებლები. ეთნიკური უმცირესობების ენებზე არსებული რამდენიმე მედიასაშუალება კი ვერც ადგილობრივი თემების მოთხოვნას აკმაყოფილებს ინფორმაციაზე და ვერც უმცირესობების პრობლემების მიტანას ახერხებს უმრავლესობის ყურადღეს. ეს დანაკლისი რომ შეავსონ, ეთნიკური უმცირესობები უცხოურ მედიას<sup>1</sup> იყენებენ და პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ადვილი სამიზნები ხდებიან.

ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება და მათთვის მოსაზრებების გამოთქმის საშუალების მიცემა დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლებისთვის, მათ შორის ამჟამინდელი ხელისუფლებისთვისაც, გამოწვევას წარმოადგენს. ეთნიკური სეპარატიზმის გაღვივების შიშით საქართველოს ლიდერები თავს იკავებდნენ საკომუნიკაციო არხების გახსნისგან.<sup>2</sup> ახლანდელი ხელისუფლებაც ამ საკითხს უსაფრთხოების ჭრილში განიხილავს, განსაკუთრებით რუსული პროპაგანდის შედეგად სეპარატიზმის გაღვივების ახალი საფრთხის გამო. ხელისუფლება გაუბედავ ნაბიჯებს დგამს უმცირესობათა მედიის გასაძლიერებლად და ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის არსებული საინფორმაციო ვაკუუმის ამოსავსებად.

ეს ენინააღმდეგება საქართველოს ვალდებულებას, გააძლიეროს პლურალიზმი და კულტურული მრავალფეროვნება მედიაში, რაც ევროკავშირთან გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგშია განსაზღვრული. ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და კომუნიკაციის გეგმებში არასაკმარისი აქცენტია გაკეთებული ეთნიკური უმცირესობების მედიასაჭიროებებზე. მართალია, ამ გეგმებში სწორად არის ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის ისეთი მოწყვლადი ჯგუფების ჩამონათვალში შეტანილი, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციაზე და საჭიროებენ საგანგებო ახსნა-განმარტებებს, <sup>3</sup> მაგრამ ხელისუფლება ამ თემებთან ურთიერთობაში ცალმხრივ, კონტროლირებად კომუნიკაციას (საინფორმაციო ფურცლები, რეკლამები) და შესვედრებს ეყრდნობა და არა ეთნიკურ მედიას როგორც ორმხრივი კომუნიკაციის მდგრად არხს. ეთნიკური უმცირესობების ენებზე და/ან ინტერესებზე ორიენტირებული მედიის არარსებობა უარყოფითად ასახება უმცირესობათა თემების განვითარებაზე, მათ მონაბეჭდებაზე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეებში და მათ მიერ საქართველოს მომავლის ხედვის გაზიარებაზე. საქართველოს ევროპული ინტეგრაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ეთნიკურ უმცირესობებს შორის ორჯერ აღმატება ქვეყნის საშუალო მონაცემს - ამ პროცესს 27% ენინააღმდეგება. <sup>4</sup>

რეკომენდებულია, რომ ხელისუფლებამ თავის 2017-2019 წლების ასოცირების დღის წესრიგში და, შესაბამისად, ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და კომუნიკაციის სტრატეგიული პრიორიტეტად განსაზღვროს ადგილობრივი ეთნიკური მედიის ხელშეწყობა და ეთნიკურ უმცირესობებზე ორიენტირებული გადაცემების რაოდენობის გაზრდა ძირითად მედიაში.

## შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის საქმეში, ქვეყანაში ვერ შეძლო იმ საინფორმაციო ვაკუუმის ამოვსება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის არის ნარმოქმნილი. საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, რომლებმაც ქართული ცუდად იციან, ახალ ამბებსა და ინფორმაციას მცირე რაოდენობის ადგილობრივი ეთნიკური მედიასაშუალებებიდან იღებენ. შესაბამისად, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ მათი ცოდნა შეზღუდულია, ისევე, როგორც მათი შესაძლებლობა, ფართო საზოგადოებას აცნობონ საკუთარი საჭიროებები და პრობლემები. შედეგად საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ერთ მეშვიდედს შეადგენენ, <sup>5</sup> დიდწილად იზოლირებული არიან, არ არიან ჩართული ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხშირად ბუნდოვანი ნარმოდგენა აქვთ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ. <sup>6</sup>

სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობები დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლებისთვის წარმოადგენდა გამოწვევას . 1992-93 წლების ომის შედეგად ქვეყნის ორი რეგიონის - აფხ-აზეთისა და ოსეთის - გამოყოფის და მათი დე ფაქტო დამოუკიდებლობის

<sup>1</sup> ლ. თორნტონი & დ. სიჭინავა (2015) „საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. [https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_GEO\\_VF\\_0.pdf](https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_GEO_VF_0.pdf).

<sup>2</sup> მ. მეტროველი, (2014). „საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა საქართველოში“, თბილისი, საქართველო: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, გვ. 4.

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობის სტრატეგია ევროპული განვითარების საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის. <http://eu-nato.gov.ge/en/news/4913>

<sup>4</sup> ლ. თორნტონი, & დ. სიჭინავა (2015), „საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. [https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_GEO\\_VF\\_0.pdf](https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_GEO_VF_0.pdf)

<sup>5</sup> საქსტატის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების უსხევილეს ჯგუფს აზერბაიჯანელება წარმოადგენს (233 024, ანუ 7,23%), რომლებსაც მოსდევენ სომხები (168 120, ანუ 5,21%). ეს უმცირესობები ძირითადად (ცხოვრობენ ქვემო ქართლში (აზერბაიჯანელება) და სამცხე-ჯავახეთში (სომხეთი) და ესაზღვრუებინათ თავიანთ მშობლიურ ქვეყნებს - აზერბაიჯანსა და სომხეთს.

<sup>6</sup> ლ. თორნტონი, & დ. სიჭინავა (2015), „საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. [https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_GEO\\_VF\\_0.pdf](https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_GEO_VF_0.pdf)

შემდეგ ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ დანარჩენი ეთნიკური ანკლავები გამოკეტა და იქ მკაცრი საინფორმაციო კონტროლი დააწესა. 1991-1992 წლების ომია მტკიცებული მოგონებები დატოვა და ნაპრალი გააჩინა ეთნიკურ უმრავლესობას - ქართველებს და ეთნიკურ უმცირესობებს შორის და უმცირესობებთან ურთიერთობები ეროვნული უსაფრთხოების საკითხად აქცია.<sup>7</sup>

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ეს მიდგომა შემოაბრუნა და უმრავლესობა-უმცირესობების ურთიერთობები ფართო სამოქალაქო ინტეგრირების საკითხად აქცია. იგი ხაზს უსვამდა საქართველოს როგორც „მისი ყველა მოქალაქის სახელმწიფოს“ ხედვას და შემოიტანა „ქართველობის“ იდეა სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნისა და საქართველოს მოქალაქეობის საფუძველზე.<sup>8</sup> სააკაშვილმა გააუქმა ქართულ პასპორტებში ეთნიკური წარმომავლობის მითითების ვალდებულება და შეიმუშავა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრირების ყოვლისმომცველი ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა 2009-2014 წლებისთვის.

თუმცა მიხეილა სააკაშვილმა ინტეგრაციის ამ ამბიციური დღის წესრიგისთვის ვერც საკონსისი რესურსების გამოყოფა შეძლო<sup>9</sup> და ვერც ეთნიკური მედიის და სხვა საკომუნიკაციო არხების გაძლიერება. მაგალითად, ხელისუფლებამ აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან სათემო რადიოებს FM მაუწყებლობის ლიცენზია არ მისცა.<sup>10</sup>

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, რომელმაც სააკაშვილის მთავრობა 2012 წელს შეცვალა, არ გადაუდგამს მკაფიო ნაბიჯები ამ საინფორმაციო ვაკუუმის ამოვსებისა და მედიის საშუალებით უმცირესობების ინტეგრირების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან ხელისუფლების ურთიერთობების განვითარება სტაბილურობითა და ზოგადი პოზიტიური ტენდენციით ხასიათდება, ბევრი სამუშაოა შესასრულებელი ეთნიკური ჯგუფების უფრო სრული ინტეგრირებისთვის,<sup>11</sup> რის მისაღწევა-დაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ეთნიკურ ანკლავებში საინფორმაციო ნაკადის გაუმჯობესებაა.<sup>12</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ-მა კომისიამ FM ლიცენზია მისცა სომხურენოვან სათემო რადიო „ნორს“,<sup>13</sup> რომელსაც ლიცენზიაზე რვა წლის განმავლობაში ეუბნებოდნენ უარს, მაგრამ აზერბაიჯანულენოვანი რადიო „მარნეული“ კვლავ ლიცენზიის გარეშეა. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, 2015 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ ლიცენზიირების მოთხოვნა ყველა სატელევიზიო არხისთვის გაეუქმებინა, შესაძლებლობებს აჩენს ეთნიკური მედიის გაფართოებისთვის, მაგრამ თანხების და მაღალი გარჩევადობის მოწყობილობების ნაკლებობის გამო სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი სატელევიზიო სადგურები „ფარვანა“ და „ATV-12“ ვერ იყენებენ ციფრულ არხებს. ძირითადი მედიამ, განსაკუთრებით საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა, მეტი უნდა გააკეთოს ეთნიკურ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.<sup>14</sup>

ეთნიკური უმცირესობების მედიის და ინფორმირების საკითხი რუსული პროპაგანდის პრობლემასთან არის დაკავშირებული. მოქმედებს რა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ თავისი ახალი საგარეო და უსაფრთხოე-

<sup>7</sup> მ. მეტრეველი, (2014). „საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა საქართველოში“, თბილისი, საქართველო: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, გვ. 4.

<sup>8</sup> Berglund, C. (2016). Forward to David the Builder“ Georgia’s (re)turn to language-centered nationalism, Nationalities Papers, p. 5, DOI:10.1080/00905992.2016.1142519, <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/00905992.2016.1142519>

<sup>9</sup> მ. მეტრეველი, (2014). „საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა საქართველოში“, თბილისი, საქართველო: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, გვ. 5.

<sup>10</sup> IREX (2006). მედიის მდგრადობის ინდექსი 2006/07, გვ. 130, [https://www.irex.org/sites/default/files/MSIE06\\_ga.pdf](https://www.irex.org/sites/default/files/MSIE06_ga.pdf); IREX (2008). მედიის მდგრადობის ინდექსი 2008, გვ. 136, <https://www.irex.org/sites/default/files/MSIE08-Georgia.pdf>; IREX მედიის მდგრადობის ინდექსები 2009, 2010.

<sup>11</sup> Sabanadze, N. (2014), “Georgia’s Ethnic Diversity. A Challenge to State-building,” In The Making of Modern Georgia, 1918-2012. The First Georgian Republic and its Successors. Edited by Stephen F. Jones, Routledge, p. 119.

<sup>12</sup> გ. გოგსაძე, ი. კაჭკაჭიშვილი და ლ. ბაშალეიშვილი (2014). „უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი)“. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, [http://mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority\\_Integration\\_in\\_Georgia\\_geo\\_-\\_Levan\\_Mikeladze\\_Foundation.pdf](http://mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority_Integration_in_Georgia_geo_-_Levan_Mikeladze_Foundation.pdf)

<sup>13</sup> IREX (2015). მედიის მდგრადობის ინდექსი 2015, გვ. 160, [https://www.irex.org/sites/default/files/u105/EE\\_MSI\\_2015\\_Georgia.pdf](https://www.irex.org/sites/default/files/u105/EE_MSI_2015_Georgia.pdf)

<sup>14</sup> გ. გოგსაძე, ი. კაჭკაჭიშვილი და ლ. ბაშალეიშვილი (2014). „უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები (ჯავახეთის მაგალითი)“. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, [http://mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority\\_Integration\\_in\\_Georgia\\_geo\\_-\\_Levan\\_Mikeladze\\_Foundation.pdf](http://mikeladzefoundation.org/multimedia/ups/1/Minority_Integration_in_Georgia_geo_-_Levan_Mikeladze_Foundation.pdf)

ბის პოლიტიკის დოქტრინის მიხედვით, <sup>15</sup> რუსეთი მჭიდრო კავშირების დამყარებას ცდილობს რუსულენოვან მოსახლეობასთან. <sup>16</sup> რუსული პროპაგანდა დეზინფორმაციას აწვდის რუსულენოვან ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შორის საქართველოშიც. ამჟამად ეთნიკურ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში უცხოური არხების მოხმარება ყველაზე მაღალია საქართველოში - 53%. <sup>17</sup> პროპაგანდისტული გზავნილების გასანეიტრალიზად ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი მედიაწყაროების პლურალიზმს და გააძლიეროს ეთნიკური მედია.

## მიღვენობი და შედეგები

მთავრობა, როგორც ჩანს, აგრძელებს ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობების საკითხის უსაფრთხოების კონტექსტში განხილვას და სიფრთხილით ეკიდება ეთნიკური მედიისა და ინფორმაციის საკითხებს. ამის მიზეზი ნაწილობრივ სუბიექტურ, აღქმით სფეროს განეკუთვნება - კონფლიქტის საფრთხის აღმა უმრავლესობის და უმცირესობის თემებში <sup>18</sup> ამცირებს ნდობას და ზღუდავს სამოქმედო სივრცეს. ობიექტურ მიზეზებს შორის არის რუსული პროპაგანდის საფრთხე, რომელიც ეთნიკურ უნდობლობას და სეპარატიზმს აღვიფებს. ამ კონტექსტშა საქართველო შესაძლოა უნდობლობის და მისკომუნიკაციის მანკიერ წრეზე დააბრუნოს.

## სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია

საქართველოს მთავრობის 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, <sup>19</sup> რომელიც ეთნიკურ უმცირესობებზე ორიენტირებული სტრატეგიების ნაკრებს წარმოადგენს, ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებისთვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას (პირველი მიზნის - „თანაპარი და სრულფასოვანი მონაცილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში“ - ქვემით 1.5). <sup>20</sup> ამ დოკუმენტის მიზანია „უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ უმთავრესად ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების დაფინანსების და მათი გავრცელების მეშვეობით; „სამაუწყებლო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მათი თემატიკის გაშუქება და მონაცილეობის უზრუნველყოფა“ ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული გადაცემების მეშვეობით; „მედიის ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის პოპულარიზების გზით. <sup>21</sup>

ამ მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმის 2015 წლის შესრულების ანგარიშში <sup>22</sup> შემდეგი აქტივობებია ჩამოთვლილი: ყოფილი სახელმწიფო გაზიერების „გურჯაისტანისა“ და „ვრასტანის“ გამოქვეყნება და გავრცელება; ქვემო ქართლის ადგილობრივ გაზიერებში და სამცხე-ჯავახეთის ქართულენოვან გაზიერები აზერბაიჯანულ ენაზე ინფორმაციის შეზღუდული გან-

<sup>15</sup> Rondeli, A. (2014) "The Russian-Georgian War and its Implications for Georgia's State building," The Making of Modern Georgia, 1918-2012. In The First Georgian Republic and its Successors. Edited by Stephen F. Jones, Routledge, p. 41.

<sup>16</sup> Alexandrova, L. (2014) "Russia Keeps Pressing for Reunification of the 'Russian World'", April 2, ix. Semdeq misamarTze: www.en.itar-tass.com/opinions/1723.

<sup>17</sup> ლ. თორნტონი, & დ. სიჭინავა (2015), „საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. [https://www.ndri.org/files/NDI%20Georgia\\_April%202015%20Poll\\_Public%20Issues\\_GEO\\_VF\\_0.pdf](https://www.ndri.org/files/NDI%20Georgia_April%202015%20Poll_Public%20Issues_GEO_VF_0.pdf)

<sup>18</sup> Nilsson, N. (2009). Obstacles to Building a Civic Nation: Georgia's Armenian Minority and Conflicting Threat Perceptions, Ethnopolitics, 8(2).

<sup>19</sup> 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, [http://new.smr.gov.ge/Uploads/\\_a5f10e90.pdf](http://new.smr.gov.ge/Uploads/_a5f10e90.pdf)

<sup>20</sup> იქვე, გვ. 13-14.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 13-14.

<sup>22</sup> 2015 წლის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, <http://new.smr.gov.ge/FileList.aspx?ID=34>

თავსების ხელშეწყობა, დღეში ერთხელ ეთნიკური უმცირესობების ენებზე საინფორმაციო გამოშვების და უფრო ფართო სპექტრისთვის გამიზნული რუსულენოვანი გადაცემის ტრანსლირება საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხზე და უმცირესობების საკითხებზე ორიენტირებული ტოქშოუ ქართულ ენაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე. ეს აქტივობები ნამდვილად ვერ ჩაითვლება 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით დასახული მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევ საუკეთესო ინსტრუმენტებად. ისინი არასაკონსისად აწვდიან ინფორმაციას ეთნიკურ უმცირესობებს მათ ენაზე და ვერ უზრუნველყოფენ მათი მოსაზრებების ფართოდ გაშუქებას და შემწყნარებლური მიდგომების კულტივირებას.

2016 წლის სამოქმედო გეგმა<sup>23</sup> ექსკლუზიურად არის ფოკუსირებული ამ რამდენიმე აქტივობაზე: ა) ეთნიკური უმცირესობების ენებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის სანფორმაციო გამოშვებების და ქართულენოვანი ტოქშოუს მხარდაჭერა და ბ) პენიტენციურ დაწესებულებებში უმცირესობების მედიის ხელმისაწვდომობა.

## ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღის ცენტრი და ეთიშვილი გენერალური სამინისტრო

მედიაპლურალიზმის და მრავალფეროვნების გაფართოება მედიაში საქართველოს ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომელიც ქვეყნას ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების და ასოცირების შესაბამისი დღის წესრიგით აქვს ნაკისრი. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების 365-ე მუხლში წერია: „მხარეები ანარმოებენ რეგულარულ დიალოგს აუდიოვიზუალურ და მედიის პოლიტიკის სფეროში და ითანამმრომლებენ, რათა გააძლიერონ მედიის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი... ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ასევე მოიცავს ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და 2005 წლის გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციას.“<sup>24</sup> ასოცირების დღის წესრიგის 2.6 ნაწილი, რომლის სახელწოდებაა „თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში“, მოუწოდებს ქვეყნას, მოხდეს „მოწინავე პრაქტიკის გაზიარება მედიის თავისუფლების, მედიაპლურალიზმის... და მედიის კულტურული მრავალფეროვნების ასპექტებზე, რეგულარული დიალოგის მეშვეობით.“<sup>25</sup> ეს ვალდებულებები გულისხმობს ეთნიკური მედიის მხარდაჭერას და ეთნიკური უმცირესობების ჩართვას საჯარო დისკურსში.

თუმცა საქართველოს 2014, 2015 და 2016 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში არ არის განერილი აქტივობები მედიაში პლურალიზმის და კულტურული მრავალფეროვნების გაზრდისათვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მედიის და უმცირესობებზე ორიენტირებული გადაცემების მეშვეობით, როგორც ამას ასოცირების დღის წესრიგის 2.6 ნაწილი - „თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში“ - განსაზღვრავს.

2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის<sup>26</sup> ანალიზისას აღმოჩნდა, რომ მედია მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები ეთნიკური უმცირესობების კონტექსტ-

<sup>23</sup> შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2016 წლის სამოქმედო გეგმა, [http://new.smr.gov.ge/Uploads/2016\\_e8e32ec1.pdf](http://new.smr.gov.ge/Uploads/2016_e8e32ec1.pdf)

<sup>24</sup> ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, კარი VI, თავი 18, მუხლი 365, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN>

<sup>25</sup> ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი, [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap\\_aa/associationagenda\\_2014\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_en.pdf)

<sup>26</sup> ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, [http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20Action%20Plan-2014-Final-ENG\\_0.pdf](http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20Action%20Plan-2014-Final-ENG_0.pdf)

ში 2.2 ნაწილში: „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოვარება“ ეს აქტივობები მოიცავს ეთნიკური უმცირესობების ენებზე საინფორმაციო პროშურების გავრცელებას და სატელევიზიო რგოლების გაშვებას ევროპული ინტეგრაციის პროცესების შესახებ და შეხვედრების გამართვას მედიის წარმომადგენლებთან, მათ შორის ეთნიკური მედიის წარმომადგენლებთან. <sup>27</sup> 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ ეს აქტივობები განხორციელდა და ვიდეო და ბეჭდური საინფორმაციო მასალები გავრცელდა ქართულ ენასა და ეთნიკური უმცირესობების ოთხ ენაზე. <sup>28</sup>

2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა <sup>29</sup> იმავე ორ აქტივობას მოიცავს, რომელიც, 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის <sup>30</sup> თანახმად, განხორციელდა საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით სავიზო მიმოსვლის ლიბერალიზაციის საკითხების შესახებ.

2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა <sup>31</sup> მოიცავს მხოლოდ ორ ზემოხსენებულ აქტივობას, კერძოდ, ეთნიკურ უმცირესობებისთვის ბეჭდური და აუდიო-ვიზუალური საინფორმაციო მასალების მომზადებას და გავრცელებას 2014-2017 წლების კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის შესაბამისად. <sup>32</sup>

## კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისათვის

ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიაში <sup>33</sup> წერია, რომ ეთნიკური უმცირესობები არიან „მოწყვლადი ჯგუფები... რომლებისთვისაც ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია ძნელად არის ხელმისაწვდომი და რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ აღნიშნული პროცესის შესახებ განმარტების მიღებას“. <sup>34</sup> სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას“. <sup>35</sup> ამ დასახული მიზნების მისაღწევ დაგეგმილ აქტივობებს შორის დოკუმენტში აღნიშნულია სატელევიზიო და რადიოპროგრამების, გაზიერებისა და ურნალებში თემატური სტატიების და ვებგვერდების მომზადება.

თუმცა სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები არ მოიცავს ამ მიზნების მისაღწევად შესატყვის ღონისძიებებს. 2014 წლის სამოქმედო გეგმა <sup>36</sup> არ მოიცავს რაიმე აქტივობას ეთნიკურ მედიასთან ან ეთნიკური უმცირესობების ენებზე სხვა მედიის პროგრამებთან დაკავშირებით. 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში <sup>37</sup> ნახსენებია ევროპული ინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო ვიდეოკლიპები ეთნიკური უმცირესობების ენებზე და ინტეგრაციის თემაზე სტუდენტთა ესეების გამოქვეყნება „გურჯალისტანსა“ და „ვრასატანში“.

2015 წლის სამოქმედო გეგმაში <sup>38</sup> ჩამოთვლილია შემდეგი აქტივობები: ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდური და ელექტრონული საგზაო რუკების, ვიდეო და სოციალური რეკლამების მომზადება; მედიასთან, მათ შორის ეთნიკურ

<sup>27</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>28</sup> ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 53-54, <http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/REPORT%20of%20the%20AA%20Action%20Plan-2014%20ENG%20-%20FINAL%20ENG.pdf>

<sup>29</sup> ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, გვ. 28, <http://www.eu-nato.gov.ge/en/eu/association-agreement>

<sup>30</sup> ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 12, [http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20NAP%202015%20Summary\\_0.pdf](http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20NAP%202015%20Summary_0.pdf)

<sup>31</sup> ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, <http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%202016%20ENG.pdf>

<sup>32</sup> იქვე, გვ. 59

<sup>33</sup> საქართველოს მთავრობის სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის, <http://eu-nato.gov.ge/en/news/4913>

<sup>34</sup> იქვე, გვ. 7

<sup>35</sup> იქვე, გვ. 18

<sup>36</sup> კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014 წლისთვის, <http://eu-nato.gov.ge/ge/strategic-communications/documents>

<sup>37</sup> კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიის და 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, <http://eu-nato.gov.ge/ge/strategic-communications/documents>

<sup>38</sup> კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015 წლისთვის, <http://eu-nato.gov.ge/en/news/4913>

მედიასთან თემატური შეხვედრების მოწყობა და ბეჭდვითი, ელექტრონული და სამაუწყებლო სტატიების და ინტერვიუების გავრცელება რეგიონული მედიის გზით. 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან<sup>39</sup> ჩანს, რომ სტატიები გამოქვეყნდა გაზეთებში „გურჯისტანი“ და „ვრასტანი“, <sup>40</sup> საინფორმაციო მასალები ევროკავშირთან ასოციერების პროცესის შესახებ გავრცელდა ეთნიკურ უმცირესობებს შორის, <sup>41</sup> ხოლო საინფორმაციო კამპანიები და სოციალური რეკლამები უმცირესობების ენებზე გადაიცა რეგიონული მედიისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით.<sup>42</sup>

2016 წლის სამოქმედო გეგმა <sup>43</sup> იმავე აქტივობებს მოიცავს, რასაც 2015 წლის გეგმა: სტატიების გამოქვეყნებას გაზეთებში „გურჯისტანი“, „ვრასტანი“ და „სვაბოდნაია გრუზია“, პროშურებისა და სხვა საინფორმაციო მასალების გავრცელებას ეთნიკური უმცირესობების ენებზე და საინფორმაციო კამპანიების გაშვებას რეგიონული მედიისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით.

ამრიგად, კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები მხოლოდ უმნიშვნელოდ უწყობენ ხელს ეთნიკური მედიის გაძლიერების და უმცირესობებზე ორინეტირებული მედიამასალების გაფართოების მიზანს, რათა გაიზარდოს პლურალიზმი და კულტურული მრავალფეროვნება ქართულ მედიაში, როგორც ეს განსაზღვრულია ასოცირების დღის წესრიგის 2.6 ნანილში - „თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში“.

## დასკვნა

საქართველოს მთავრობამ სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრა საქართველოს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არსებული საინფორმაციო ვაკუუმის შევსება და ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაკონტენტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ამ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში, ამყარებს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი, რომლებიც ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და მედიაში პლურალიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების გაზრდას მოითხოვს.

თუმცა კონკრეტული ამოცანები და აქტივობები, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად არის გათვალისწინებული ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლების სტრატეგიაში, შეზღუდულია და ნამდვილად არ არის საუკეთესო ინსტრუმენტები მიზნების მისაღწევად. 2014-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები არ მოიცავს რამე კონკრეტულ ღონისძიებებს ეთნიკური მედიის გაძლიერების ხელშესაწყობად ან ძირითად მედიაში ეთნიკური უმცირესობების საკითხების შესახებ დისკუსიის გასაფართოებლად. ამის ნაცვლად ისინი ძირითადად კონტროლირებად კომუნიკაციის ეყრდნობა (საინფორმაციო ფურცლები, პროშურები, საგანმანათლებლო ვიდეომასალები, საინფორმაციო კამპანიები, დაფინანსებული მასალები ახალი ამბების სააგენტოებში). ახალი ამბების უმთავრესი წყარო ეთნიკური უმცირესობების ენებზე არის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, თუმცა ისიც უმცირესობების ენებზე

<sup>39</sup> კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიის და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, <http://eu-nato.gov.ge/ge/strategic-communications/documents>

<sup>40</sup> იქვე, გვ. 73

<sup>41</sup> იქვე, გვ. 109

<sup>42</sup> იქვე, გვ. 2

<sup>43</sup> კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2016 წლისთვის, <http://eu-nato.gov.ge/en/news/4913>

და/ან ეთნიკურ უმცირესობებზე გათვლილ გადაცემებს მცირე რაოდენობით ამზადებს. საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგია ევროინ-ტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ და შესაბამისი სამოქმედო გეგმები მხოლოდ უმნიშვნელოდ უწყობენ ხელს ხელისუფლების ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს მედიაში კულტურულ მრავალფეროვნება-სა და პლურალიზმს. შედეგად ეთნიკური უმცირესობებისთვის მათ ენებზე ან მათთვის გასაგებ ენებზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროები ძალიან ცო-ტაა. ვინაიდან უმცირესობების ენებზე და უმცირესობების საკითხებზე ორინე-ტირებული კონტენტი შეზღუდულია, ეთნიკური უმცირესობები უცხოურ მედი-ას იყენებენ და პროპაგანდისთვის ადვილი სამიზნეები ხდებიან.

## რეკომენდაციები

წინამდებარე წაშრომში რეკომენდებულია, რომ ეთნიკური უმცირესობები-სთვის მედიის ხელმისაწვდომობა ევროკავშირთან ასოცირების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გახდეს და შეტანილი იქნეს როგორც ასოცირების დღის წესრიგში 2017-2019 წლებისთვის და 2017 წლის ეროვნულ სამოქმე-დო გეგმაში, ასევე კომუნიკაციის და ინფორმაციის სტრატეგიის შემდგომ ვერსიაში.

კერძოდ, ხელისუფლებამ:

- ა) ინვესტირება უნდა მოახდინოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პროფესიონალ უურნალისტებასა და მედიამენეჯერებს შორის უურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის უნარების განვითარებაში;
- ბ) ინვესტირება უნდა მოახდინოს ეთნიკურ უმცირესობებს შორის მედიის უნარებისა და წიგნიერების განვითარებაში, რათა ხელი შეუწყოს სამოქა-ლაქო უურნალისტიკას და ადგილობრივი კონტენტის მეტ გენერირებას;
- გ) ინვესტირება უნდა მოახდინოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში მედიის წარმოების და დისტრიბუციის შესაძლებლობებისა და ტექნოლოგიების შექმნაში;
- დ) ხელი უნდა შეუწყოს ძირითად მედიასაშუალებებს, რათა მათ მოახდი-ნონ კონტენტის დივერსიფიცირება უმცირესობათა ინტერესების ასახვის მიზნით და დაიქირავონ მეტი უურნალისტი უმცირესობების თემებიდან;
- ე) უნდა მოიძიოს ტექნოლოგიური შესაძლებლობები ქართულენოვანი ბეჭ-დური, სამაუწყებლო (მაგ., თარგმნის შესაძლებლობით აღჭურვილი მულ-ტიპლექსები) და ინტერნეტ კონტენტის ეთნიკური უმცირესობების ენებზე ხელმისაწვდომობისთვის;
- ვ) ვალდებულება უნდა დააკისროს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებ-ელს, წამყვანი როლი შეასრულოს კონტენტის დივერსიფიცირებაში, რათა ასახოს უმცირესობების საჭიროებები და ინტერესები, გახსნას ადგილო-ბრივი ბიუროები და დაიქირავოს ადგილობრივი უურნალისტები, მათ შორის მენეჯერულ პოზიციებზე.